

## საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანს წარმოადგენს სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა კვალიფიციური ოპერატორის ჩამოყალიბება, რომლის ფუნქციებს წარმოადგენს:

- საქმიანობის წარმოება ქვეყნის კანონმდებლობისა და ოპერატორის საქმიანობის მარეგულირებელი კონკრეტული კანონმდებლობის შესაბამისად;
- შესაბამისი კვლევების მონაცემთა მოძიება და ოპერატორის საქმიანობის წარმოება სარწმუნო მონაცემების საფუძველზე;
- შესაბამისი კომუნიკაციური და ინტერპერსონალური უნარ-ჩვევების გამოყენება სამედიცინო დაწესებულებებში.
- პრევენციული საქმიანობის წარმოება ხელსაწყო-დანადგართა ოპტიმალური მუშაობის მიზნით.
- პაციენტთა და სამედიცინო პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის უზრუნველყოფა უსაფრთხო გარემო პირობების ხელშეწყობის, რისკ-ფაქტორების მართვისა და მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელების გზით;
- ტექნიკური დახმარების საჭიროების ყოველმხრივი, სისტემატური და ზუსტი შეფასება;
- სამედიცინო და ფარმაცევტულ დაწესებულებათა ტექნიკური აღჭურვის გეგმისა და სტრატეგიის შემუშავება;
- ტექნიკური საქმიანობის წარმოება ინდივიდუალურ და პოპულაციურ გარემოში;
- ტექნიკური საქმიანობის შეფასება-შესწავლა და მიღებული მონაცემების შესაბამისად საქმიანობის გეგმისა და სტრატეგიის შეცვლა;
- ტექნიკური დოკუმენტაციის დროული და ზუსტი წარმოება;
- კრიზისულ სიტუაციებში ეფექტური ქმედება;
- სამედიცინო პერსონალის თავისი კომპეტენციის ფარგლებში სწავლება და მხარდაჭერა;
- ლიდერის თვისებების გამოვლენა;

- ტექნიკური საქმიანობის სტანდარტების დანერგვა და ხარისხის უზრუნველყოფა;
- მულტიდისციპლინური სამედიცინო გუნდის დანარჩენ წევრებთან თანამშრომლობა და კოორდინირებული საქმიანობა;
- კლინიკური და ეთიკური გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში;
- უწყვეტი ტექნიკური განათლებისა და პროფესიული სრულყოფისადმი ტტოლვა.